ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 11/60

2024 წლის 25 ნოემბერი

ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის კომპეტენციაა მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება, დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები.

ზემოხსენებული ნორმების შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ორგანიზაციულ ცვლილებასთან დაკავშირებით საკითხის ინიცირების უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს, რაზედაც გამოცემულია საკრებულოს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანება.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №1/6 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია განიხილავს და შეიმუშავებს წინადადებებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის განსაზღვრის, მათში ცვლილების შეტანის საკითხებზე.

ამდენად, იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის კომპეტენციაა საკრებულოს თავმჯდომარის წინადადების შესაბამისად, შეიმუშაოს სამართლებრივი აქტის პროექტი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ორგანიზაციულ საკითხებზე, კერძოდ, საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში ცვლილებასთან დაკავშირებით. კომისიამ საკრებულოს წარმოუდგინა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებით განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტის (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საორგანიზაციო საკითხებში) პოზიცია, ხოლო „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი ინსტრუქციისა (სამუშაოს აღწერილობის) და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 10 აგვისტოს №108 ბრძანებით, დასაქმებულთან დადებული ხელშეკრულებით, განსაზღვრული არის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტის (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საორგანიზაციო საკითხებში) პოზიცია.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 ივლისის №13/25 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუქტის, მე-6 მუხლის შესაბამისად, საკრებულოს აპარატში არის საორგანიზაციო განყოფილება (შესაბამისი საჯარო მოხელეები), რომელიც უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს თამჯდომარის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი ინსტრუქციისა (სამუშაოს აღწერილობის) და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 10 აგვისტოს №108 ბრძანებით, დასაქმებულთან დადებული ხელშეკრულებით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტი (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საორგანიზაციო საკითხებში) უზრუნველყოფს საკრებულოს თამჯდომარის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას.

როგორც სამუშაო პრაქტიკამ აჩვენა, მოცემულ ეტაპზე, საორგანიზაციო განყოფილება და შესაბამისი საჯარო მოხელეები საკმარისია რათა უზრუნველყოფილ იქნას საკრებულოს, საკრებულოს თამჯდომარის საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, დამატებით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტის (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საორგანიზაციო საკითხებში) პოზიცია არ არის საჭირო. ამდენად, მიზაშეწონილია გაუქმდეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტის (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საორგანიზაციო საკითხებში) პოზიცია .

ამასთანავე, სპეციალური ნორმით, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 25-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციაა განსაზღვროს საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობა, შესაბამისად, საკრებულოს კომპეტენციაა გააუქმოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის პოზიცია.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე საქართველოს შრომის კანონმდებლობა ვრცელდება, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში არ არის ნორმა შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ორგანული კანონი „ საქართველოს შრომის კოდექსი“. საქართველოს ორგანული კანონის „ საქართველოს შრომის კოდექსი“ 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია

ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას, მოცემულ შემთხვევაში ხდება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტის (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საორგანიზაციო საკითხებში) პოზიციის გაუქმება. ამავე, კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების ამ კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეწყვეტისას იგი ვალდებულია დასაქმებული არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით. ამდენად, დასაქმებულს 30 კალენდარული დღით ადრე უნდა ეცნობოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

ამასთანავე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირს-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტს (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საორგანიზაციო საკითხებში) უნდა განემარტოს, რომ მას ადმინისტრაციულ წარმოების დროს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, წარადგინოს მტკიცებულებები, შუამდგომლობები, ჰყავდეს წარმომადგენელი და განახორციელოს სხვა ღონისძიებები კანონმდებლობის შესაბამისად.

ზემოხსენებულ საკითხის დასარეგულირებლად, მიღებულ უნდა იქნას საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ", აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ მოამზადა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პირველის მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კოლეგიური ორგანოს ნორმატიული აქტის მომზადებისა და მიღების (გამოცემის) წესები განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VII თავით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VII თავის 106^1 მუხლის შესაბამისად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების უფლების მქონე კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება ამავე ორგანოს გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე წერილობითია და წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

ამავე, კოდექსის 106^2 მუხლის შესაბამისად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს ამ კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად ან კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდზე. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობაში აღინიშნება:

ა) იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

ბ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების ვადა;

გ) იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მისამართი, რომელშიც შესაძლებელია მოსაზრებების წარდგენა;

დ) მოსაზრებების წარდგენის ვადა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^4 მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, წარადგინოს საკუთარი მოსაზრება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული ყოველი მოსაზრება უნდა განიხილოს შესაბამისმა კოლეგიურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ. მასზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს

თავისი ვინაობა. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო კერძო პირების მიერ წარდგენილ მოსაზრებებს რეგისტრაციიდან ერთი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[5] მუხლის შესაბამისად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა განისაზღვრება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე. ამდენად, დადგენილების პროექტის მიღების ვადა უნდა განისაზღვროს არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ამდენად, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართულ უნდა იქნას დაინტერესებული მხარე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად:

მუხლი 1.

დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"მიღებასთან დაკავშირებით.

მუხლი 2.

1.ცნობად იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №1/6 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ"ქვეპუნქტის შესაბამისად, იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ, წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"(იხილეთ დანართი).

2.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიას ეთხოვოს, 2024 წლის დეკემბრის სხდომისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო მოხელეების შრომის ანაზღაურების გაზრდასთან ერთად, წარმოადგინოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ", რომლითაც უნდა გაუქმდეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტის (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საორგანიზაციო საკითხებში) პოზიცია, აღნიშნული პოზიციის გაუქმების საკითხი აისახოს დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში, ზემოხსენებული დადგენილების პროექტი გავიდეს

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დადგენილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 1 იანვარი.

მუხლი 3.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VII თავის 106[2] მუხლის შესაბამისად, განკარგულებაში მითითებული ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტი (საკრებულოს დადგენილების პროექტი) გამოქვეყნდეს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს - საკრებულოს ვებგვერდზე https://poti.gov.ge/ . ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტთან ერთად გამოქვეყნდეს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობაში აღინიშნოს:

ა) იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს (საკრებულო) დასახელება, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

ბ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების ვადა;

გ) იმ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს(საკრებულო) მისამართი, რომელშიც შესაძლებელია მოსაზრებების წარდგენა;

დ) მოსაზრებების წარდგენის ვადა.

მუხლი 4.

ცნობად იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[4] მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, წარადგინოს საკუთარი მოსაზრება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს (საკრებულო) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული ყოველი მოსაზრება უნდა განიხილოს კოლეგიურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ (საკრებულო) . მასზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო(საკრებულო) კერძო პირების მიერ წარდგენილ მოსაზრებებს რეგისტრაციიდან ერთი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 5.

ცნობად იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[5] მუხლის შესაბამისად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და მიღების ვადა განისაზღვრება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე. ამდენად, დადგენილებების პროექტების მიღების ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა.

მუხლი 6.

1.საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართულ იქნას დაინტერესებული მხარე, დაინტერესებულ მხარეს განემარტოს, რომ მას ადმინისტრაციულ წარმოების დროს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, წარადგინოს მტკიცებულებები, შუამდგომლობები, მოსაზრებები, განაცხადოს აცილება, ჰყავდეს წარმომადგენელი, დაესწროს სხდომებს, გამოვიდეს სიტყვით სხდომებზე და განახორციელოს სხვა ღონისძიებები კანონმდებლობის შესაბამისად.

2.საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VII თავის, 103-ე მუხლის 1[1] პუნქტის, 120-ე მუხლის, 110-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს 7 (შვიდი) დღით ადრე ეცნობოს განკარგულებით გათვალისწინებული დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით სხდომის ჩატარების დროის, ადგილის, დასწრების, მოსაზრების წარდგენისა და სხვა უფლებების შესახებ.

მუხლი 7.

აღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებულ საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე მუხლის შესაბამისად, ერთი კვირით ადრე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №12) საჯაროდ

გამოქვეყნდეს ინფორმაცია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს ბიუროსა და შესაბამისი კომისიის სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ამასთანავე, ზემოხსენებული ინფორმაცია გამოქვეყნდეს საკრებულოს ვებგვერდზე https://poti.gov.ge/.

მუხლი 8.

აღნიშნული განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებით გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

მუხლი 9.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს, ასეთ შემთვევაში, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 62-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება (ან მისი ნაწილი) შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 10.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ტყებუჩავა

ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
215138143

<u>პროექტი</u>

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №---/----
2024 წლის --- -------

ქ. ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/08/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.111.016337) შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ: **დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დანართი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობათა რანგები, თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)	საშტატო რიცხოვნობა
	პოლიტიკური თანამდებობის პირი		
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	6123	1

2.	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	3945	1
3.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	3618	2
4.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	3328	5
5.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	3267	
6.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	2844	
პირველი რანგი (მაღალი მმართველობითი დონე) საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი			
7.	საკრებულოს აპარატის უფროსი	3857	1
ჯამში:			**1**
მეორე რანგი (საშუალო მმართველობითი დონე) საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე			
8.	საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე	2926	1
ჯამში:		**1**	
მეორე რანგი (საშუალო მმართველობითი დონე) საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი			
9.	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	2660	1
მესამე რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)			
10.	საორგანიზაციო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1862	2
ჯამში:			**3**
მეორე რანგი (საშუალო მმართველობითი დონე) საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი			
11.	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	2660	1
მესამე რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)			
12.	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1862	1
ჯამში:			**2**
მეორე რანგი (საშუალო მმართველობითი დონე) საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი			
13.	საოქმო -საარქივო განყოფილების უფროსი	2660	1
მესამე რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)			
14.	საოქმო - საარქივო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1862	2
ჯამში:			**3**

მეორე რანგი (საშუალო მმართველობითი დონე) საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი			
15.	იურიდიული განყოფილების უფროსი	2660	1
მესამე რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)			
16.	იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1862	1
ჯამში:			**2**
მეორე რანგი (საშუალო მმართველობითი დონე) საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი			
17.	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	2660	1
მესამე რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე)			
18.	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1862	2
19.	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ბუღალტერი)	1862	1
ჯამში:			**4**
სულ ჯამში აპარატის საშტატო რიცხოვნობა:			**16**
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები			
20.	სპეციალისტი		13
21.	საკრებულოს კომისიის ექსპერტ-სპეციალისტი		2
22.	მძღოლი		1
ჯამში:			**16**

“.

მუხლი 2

ეს დადგენილება ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან.

პროექტის წარმომდგენი
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ნიკა კორშია**

საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ტყებუჩავა**

ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
215138143

განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

(განმარტებითი ბარათი შედგენილია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად).

1. ნორმატიული აქტის პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი, მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები, იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამ ოცემა).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის კომპეტენციაა მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება, დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესი და თანამდებობრივ ინსტრუქციები.**

ზემოხსენებული ნორმების შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ორგანიზაციულ ცვლილებასთან დაკავშირებით საკითხის ინიცირების უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს, რაზედაც გამოცემულია საკრებულოს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანება.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №1/6 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია განიხილავს და შეიმუშავებს წინადადებებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის განსაზღვრის, მათში ცვლილების შეტანის საკითხებზე.**

ამდენად, იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის კომპეტენციაა საკრებულოს თავმჯდომარის წინადადების შესაბამისად, შეიმუშაოს სამართლებრივი აქტის პროექტი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში

ორგანიზაციულ საკითხებზე, კერძოდ, საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში ცვლილებასთან დაკავშირებით. კომისიამ საკრებულოს წარმოუდგინა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებით **განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტის (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საორგანიზაციო საკითხებში) პოზიცია, ხოლო** „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი ინსტრუქციისა (სამუშაოს აღწერილობის) და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 10 აგვისტოს N108 ბრძანებით **განსაზღვრული არის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტის (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საორგანიზაციო საკითხებში) პოზიცია.**

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 ივლისის №13/25 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუქტის, მე-6 მუხლის შესაბამისად, **საკრებულოს აპარატში არის საორგანიზაციო განყოფილება (შესაბამისი საჯარო მოხელეები), რომელიც უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს თამჯდომარის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას.**

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი ინსტრუქციისა (სამუშაოს აღწერილობის) და დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 10 აგვისტოს N108 ბრძანებითა და დასაქმებულთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, **შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტი (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საორგანიზაციო საკითხებში) უზრუნველყოფს საკრებულოს თამჯდომარის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას.**

<u>როგორც სამუშაო პრაქტიკამ აჩვენა, მოცემულ ეტაპზე, საორგანიზაციო განყოფილება და შესაბამისი საჯარო მოხელეები საკმარისია რათა უზრუნველყოფილ იქნას საკრებულოს, საკრებულოს თამჯდომარის საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, დამატებით</u> **შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტის (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საორგანიზაციო საკითხებში)** <u>**პოზიცია არ არის საჭირო. ამდენად, მიზანშეწონილია გაუქმდეს**</u> **შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტის (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საორგანიზაციო საკითხებში)** <u>**პოზიცია .**</u>

<u>ამასთანავე, სპეციალური ნორმით, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 25-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მხოლოდ მუნიციპალიტეტის</u>

საკრებულოს კომპეტენციაა განსაზღვროს საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობა, შესაბამისად, საკრებულოს კომპეტენციაა გააუქმოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის პოზიცია.

ზემოხსენებულ საკითხის დასარეგულირებლად, მიღებულ უნდა იქნას საკრებულოს შემდეგი დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის №17/19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ მოამზადა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

ამდენად, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, მიიღოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებას.

2. ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი (ავტორები) და წარმდგენი.

ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია. საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმდგენია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

3. არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

4. გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

5. განმარტებითი ბარათის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ევროკავშირის სამართლებრივი აქტის არსებობის შემთხვევაში, მასთან შესაბამისობის ცხრილი, დანართი №1-ის შესაბამისად.

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

6. <u>პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).</u>

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს.

7. <u>საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ.</u>

ასეთ გარემოებას ადგილი არა აქვს (დადგენილების პროექტზე საქართველოს კანონმდებლო სახელმწიფო ორგანოს წინასწარ დასკვნას არ ითვალისწინებს).

8. <u>ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება.</u>

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

პროექტის წარმომდგენი
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ნიკა კორშია**

საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ტყებუჩავა**